

ნარკოლოგია

საგამოცდო საკითხები

1. წამალდამოკიდებულების ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტები, ნეირობიოლოგიური მექანიზმები; დამოკიდებულების განვითარების ეთიოლოგია და პათოგენეზი; ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული სინდრომები, სიმპტომები და დაავადებები; დამოკიდებულების საერთო პრინციპები და ნივთიერებების კლასების მიხედვით ინდივიდუალური თავისებურებები:
 - წამალდამოკიდებულების ბუნება, მისი ბიოლოგიური და სულიერი საწყისები;
 - ფსიქოაქტიური ნივთიერებების კლასიფიკაცია, მათი გამოყენების ხერხები და საშუალებები;
 - ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ასპექტები;
 - ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოქმედების ნეირონული მექანიზმები, ნეიროდაპტაცია - უჯრედშიდა კასკადები, ტოლერანტობა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
 - წამალდამოკიდებულების ნეირობიოლოგია - ტვინის დამაჯილდოვებელი სისტემა და დამოკიდებულება; რეციდივის მექანიზმები;
 - პარაკლინიკური გამოკვლევები ნარკოლოგიაში (ეეგ, გამოწვეული პოტენციალები, ძილის პოლიგრაფია) და მისი მნიშვნელობა;
 - არამედიკამენტური მკურნალობა (ელექტროსტიმულაცია და მაგნიტური სტიმულაცია) და მისი მნიშვნელობა;
 - წამალდამოკიდებულების ფსიქო-დიაგნოსტიკა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პრინციპები;
2. ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები; მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ფორმები; ალკოჰოლზე დამოკიდებულება და ალკოჰოლური ფსიქოზები; მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობის დარეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები:
 - ალკოჰოლის მეტაბოლიზმი;
 - მარტივი ალკოჰოლური თრობის ხარისხები;
 - მარტივი თრობის სახეცვლილი ფორმები;
 - პათოლოგიური (იდიოპათიური) თრობა;
 - ალკოჰოლური თრობის ექსპერტიზის პრინციპები;
 - ალკოჰოლის საზიანოდ მოხმარება;
 - ალკოჰოლიზმის კლასიფიკაცია;
 - ალკოჰოლზე დამოკიდებულების ძირითადი სიმპტომები და გართულებები; დამოკიდებულების მკურნალობის და რეაბილიტაციის პრინციპები;
 - ალკოჰოლური ალკვეთის სინდრომი და მისი მკურნალობის მეთოდები;

- ალკოჰოლური ფსიქოზები - ალკოჰოლური დელირიუმი, ალკოჰოლური ჰალუცინოზი, ალკოჰოლური ბოდვითი ფსიქოზები და ალკოჰოლური ენცეფალოპათიები. მათი კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდები;
3. ოპიოიდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები; მოქმედების მექანიზმი; ოპიოიდების მოხმარებით გამოწვეული თრობა, დამოკიდებულება და გართულებები; ავადმყოფთა გამოკვლევის და დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები:
- ოპიუმი, ოპიატები და ოპიოიდები;
 - ოპიოიდების მოხმარების ისტორია;
 - ოპიოიდური თრობა;
 - ტოლერანტობის და დამოკიდებულების განვითარება;
 - ოპიოიდებზე დამოკიდებულების განვითარების მექანიზმები;
 - აღკვეთის მდგომარეობა;
 - ოპიოიდების მოხმარების მავნე შედეგები;
 - დამოკიდებულების მკურნალობის მეთოდები;
 - მედიკამენტური და არამედიკამენტური მკურნალობა;
 - ჩანაცვლებითი თერაპია;
 - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.
4. სედაციური და საძილე საშუალებების და ცენტრალური ნერვული სისტემის ; მოქმედების მექანიზმი და ძირითადი ეფექტები; დიაგნოსტიკის, სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები მკურნალობის და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები:
- სედაციური და საძილე საშუალებების კლასიფიკაცია - ბარბიტურატები, ბენზოდიაზეპინები და ე.წ. "Z" საძილეები;
 - სედაციური და საძილე საშუალებების მოხმარებით გამოწვეული მწვავე ინტოქსიკაციის და დამოკიდებულების თავისებურებები;
 - სედაციური და საძილე საშუალებების ქრონიკული მოხმარებით გამოწვეული გართულებები, კლინიკის და მკურნალობის თავისებურებები;
 - ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორების კლასიფიკაცია და მოქმედების მექანიზმი; შიდა და გარე სტიმულატორები;
 - კოკაინის ფორმები და მოხმარების ხერხები;
 - ამფეტამინები და მეტამფეტამინები;
 - კოფეინის და სხვა სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული მწვავე ინტოქსიკაციის და დამოკიდებულების ნიშნები;
 - ნიკოტინის მოხმარებით გამოწვეული ინტოქსიკაცია და დამოკიდებულება, მკურნალობის მეთოდები;

5. ფსიქოდელიური საშუალებების (ჰალუცინოგენების, კანაბინოიდების და აქროლადი გამხსნელების) მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები; კლინიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები:

- ჰალუცინოგენების კლასიფიკაცია;
- LSD-ს და მისი ანალოგების მოხმარების ფორმები და ხერხები; მწვავე ინტოქსიკაცია, ტოლერანტობის და დამოკიდებულების განვითარების თავისებურებები, გართულებები და მკურნალობის მეთოდები;
- ინდივიდუალურად კლასიფიცირებულები: ფენციკლიდინი და კეტამინი; კლინიკის და დიაგნოსტიკის თავისებურებები;
- მესკალინის ჯგუფი - MDMA "ექსტაზი", DMA, DOM და სხვა ნივთიერებების მოხმარების თავისებურებები;
- კანაბინოიდების კლასიფიკაცია - კანაბისი, სინთეზური და ენდოგენური კანაბინოიდები;
- კანაბინოიდების მოხმარებით გამოწვეული თრობა, ძირითადი ეფექტები, გართულებები, დამოკიდებულების და მკურნალობის თავისებურებები;
- აქროლადი გამხსნელების მოხმარებით გამოწვეული მწვავე ინტოქსიკაცია, კლინიკის და დამოკიდებულების თავისებურებები, მკურნალობის მეთოდები;
- ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, მათი სახეობები, მოხმარებით გამოწვეული მწვავე და ქრონიკული აშლილობები, მკურნალობის მეთოდები;

6. წამლადამოკიდებულების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია - ზოგადი პრინციპები:

- აღდგენა- გამოჯანმრთელება;
- რეციდივის პრევენცია;
- ზიანის შემცირების პრინციპები;
- მხარდამჭერი თერაპია;
- თერაპიული თემი.